ლიტერატურული ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთ „ხაშურის მოამბის" დამატება
№3, 25 მარტი, ორშაბათი, 2019 წელი

რეცენზია

წიგნი სიყვარულისა

მზია ხეთაგურის სიკეთითა და სიყვარულით გაჯერებული წიგნი **„უფლების უფლება"** ავტორმა, ჩემს საღამოზე გადმომცა, ქართულ უნივერსიტეტში, ასეთი წარწერით: ,,მურად მთვარელიძეს – მარად, ერთგულებით! (დანარჩენი ამ წიგნის 95-ე გვერდზეა ნათქვამი".)

მას შემდეგ ვეფერები წიგნის ფურცლებს, ვეფერები და თვითონ ეს ფურცლებიც მეფერებიან.

მართლაც, რაოდენ დიდი სიყვარულით უნდა გქონდეს ადამიანს გული სავსე, რომ არ დაგავიწყდეს არავინ, ვინც შენს ცხოვრებაში რაღაც სიკეთის კვალი დატოვა, როგორი სითბო უნდა გივსებდეს არსებას, რომ შემდეგ, თითოეული ამ ადამიანის მიმართ, ასე გამოხატო შენი სათქმელი.

მზია ხეთაგური თანამედროვე ქართული პოეზიის ვარსკვლავი რომ არის, ამის შესახებ ბევრი თქმულა და დაწერილა. მრავალმხრივ ნიჭიერ შემოქმედს, რომელსაც, ჯერ კიდევ, გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დიდი ლიტერატურული ურთიერთობები აკავშირებდა მაშინდელ ,,საბჭოთა კავშირში" შემავალი ქვეყნების ცნობილ ლიტერატორებთან და უცხოელ მწერლებთან, ბუნებრივია, ბევრი რამ ექნება გასახსენებელი. და, ეს წიგნი, ამ ურთიერთობებს ჩინებულად აცოცხლებს. როგორც წიგნის წინასიტყვაობის ავტორები **ლანა ღოღობერიძე** და **ამირან გომართელი** წერენ: ,,ეს არის წიგნი – გალერეა, წიგნი – ექსკურსია, წიგნი – ,,არაჩვეულებრივი გამოფენა", წიგნი – აღსარება, წიგნი – სიყვარულის ახსნა,, წიგნი – ,,შავ-თეთრი ბოდვა", ბედისაგან თუ სარკაზმული ადამიანებისაგან მრავალფეროვნების მოპარვის გამო!"

წიგნის რედაქტორი, მზიას უახლოესი მეგობარი ეკა ბაქრაძე კი შენიშნავს: ,,სიყვარულითა და ტკივილით გაჟღენთილი ეს ფურცლები გარკვეული დროის მანძილზე, ჩემ თვალწინ იკინძებოდა. ისღა დამრჩენია, რომ ვიამაყო ჩემი და არა მხოლოდ ჩემი წიგნების ბრწყინვალე რედაქტორის რედაქტორობით და მის მიერვე მონიჭებული ,,უფლების უფლებით", კიდევ ერთხელ მოვისმინო და სხვასაც მოვასმენინო, მართლაც, დიდებული მწერლის ,,ფარდაახდილი სიტყვა!".

მზია ხეთაგურის არტისტული ფრაზა მისივე სულის ერთგვარი ჩუქურთმაა, რომელსაც ის საგულდაგულოდ ძერწავს და აქანდაკებს, რათა მკითხველამდე სათქმელი ისე მიიტანოს, როგორც ეს თვითონ ჩაიფიქრა, როგორც ამას მისი შინაგანი ხმა კარნახობს. ეს წიგნი ამ ნაქანდაკარი სიტყვისა და სიყვარულის ერთგვარი სინთეზია, ამიტომ არის ის განსაკუთრებით შთამბეჭდავი და საინტერესო.

მზიას თავგანწირვამდე მისული მეგობრობა შეუძლია. ეს წიგნი სწორედ მეგობრებსა და მეგობრობას ეძღვნება, და რა შთამბეჭდავია პოეტის ასეთი დიდი გულწრფელობით წამძღვარებული სტრიქონები მეგობრებისადმი:

სულ ერთია, თქვენამდე ჩემს მზეს თუ ჩავასვენებ,
ანდა, თქვენ თუ გამასწრებთ სულსწრაფი ახირებით! –
აქაც, თქვენი ხსოვნის დღეს ყველას მე შევახსენებ
და ხელგაშლილ მასპინძლად, იქაც მე დაგიხვდებით!

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, მეგობარი პოეტები და მწერლები, გამოჩენილი მუსიკოსები თუ ხელოვნების სხვა დარგის ცნობილი წარმომადგენლები, საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილი, ან სულაც უცნობი ადამიანები მზია ხეთაგურის ამ წიგნის პირველ თავში, რომლისთვისაც ავტორს ,,მოაჯირი" დაურქმევია, დიდი სიყვარულითა და ერთგულებით არიან წარმოდგენილნი.

მეორე ნაწილი ,,კოცნის ანაბეჭდები" პოეტის ცხოვრების ყველაზე თბილი და ხავერდოვანი წლების გახსენებაა. ეს არის ნატიფი ლირიკა პოეტის ცნობილი ლექსებით, რომლებსაც თავისი ადრესატები ჰყავს. აქ ყოველი ლექსი საოცარი მუხტის მატარებელია. სიყვარულის ხიბლით, მისი სიტკბო-სიმწარით, აღმასვლა-დაცემებითა და შეცდომებით, – ეს ყველაფერი ცხოვრებაა, ცხოვრება კი, სიყვარულის გარეშე, წარმოუდგენელია.

შეყვარებულმა ზღვაში აფრა თუ არ აუშვი,
თუ სისულელემ არ დაგრია ხელი, ვნებიანს,
ეჭვიანობით შეცდომები თუ არ დაუშვი,
მაშასადამე, არასოდეს არ გყვარებია!

შემდეგი თავი ,,ხსოვნის სკივრი" გარდაცვლილ მეგობრებსა თუ თანამოკალამეებს ეძღვნება და, სიყვარულთან ერთად, დიდი მონატრებითა და სევდით არის გაჯერებული. შემდეგი ოთხი თავი ,,ფარდაახდილი სიტყვა", ,,თვითგვემა" ,,განხიბვლა ანუ ოჰ-ს, ეჰ-ს და N-N-ებს", ,,დაკარგული სამოთხე, დაკარგული ჯოჯოხეთი და თოკი" – ასევე, პოეტის სულის ამოძახილია მისი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე.

და მაინც, ყველაზე ემოციურია წიგნის შემდეგი თავი ,,მავთულხლართები".

მშობლიური ცხინვალი და ცხინვალელები, ბავშვობისა და ახალგაზრდობის საოცარი წლები, მშობლები, წინაპრები, ქართული სულიერებით ჯერ ისევ მფეთქავი ცხინვალი... თრთოლვის გარეშე ვერ წაიკითხავ მიძღვნებს, წერილებს, მოგონებებს, რაც, ამ, უკვე წარსულში დარჩენილ, ბედნიერ წლებს უკავშირდება.

მწერლის კალამი სხვაგვარად აცოცხლებს წარსულს. თითქოს, ადამიანებსაც სრულიად განსხვავებული კუთხით წარმოგვიდგენს, სხვაგვარად შეგახედებს, შეგაყვარებს მათ. ცხინვალის ქართველი და ოსი ინტელიგენცია, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, გარდაცვლილებიც და ცოცხლებიც, მათთან გატარებული წლები, ურთიერთობები, უბრალო, ადამიანური ურთიერთობები, – დაუსრულებელ შუღლსა და მტრობაში რომ გადაიზარდა. ეს პოეტის სამშობლოა, სამაჩაბლოა, სადაც ის დაიბადა და გაიზარდა ქართულ-ოსურ ოჯახში, ეს მისი ტრაგედიაც არის. ამიტომაც არის პოეტის ანდერძივით ნათქვამი სიტყვები ასეთი მძიმეც და სანდოც, ხალისიანიც და ტკივილიანიც, სულისა და გულის შემძვრელი:

,,დამასაფლავეთ ზედ იმ ,,საზღვარზე"
ამ სიყვარულის უსაზღვროებით,
გულის ჭიშკარი მე ვერ ჩავრაზე
აქ ქართველების, იქით – ოსების!.."

წიგნის ბოლო თავები, ახლახან გარდაცვლილ მეგობარ ლიტერატორებთან ერთად, საკუთარ ოჯახს, მშობლებს, და-ძმას, შვილებს, შვილიშვილებსა და მათ შვილებს ეძღვნება და აგვირგვინებს იმ დიდ სიყვარულს, რაც მთლიანად წიგნის ფურცლებზეა გაბნეული. ეს არის გახსენებაც, მოძიებაც, ტკივილი და სიხარულიც, საყვარელი ადამიანების გარემოცვით გამოწვეული ბედნიერების გამო, და დანაბარებიც, რომ ის, რაც ამ დიდებულ შემოქმედს აწუხებს, შთამომავლებმაც ცხოვრების უმთავრეს არსად გაიხადონ.

ია, გიორგი, ელენ, ქრისტინე!–
ნუ გაგიტყუებთ ზიზილ-პიპილო!
მე სამუდამოდ რომ დავიძინებ,
თქვენ სამშობლოსთვის უნდა იფხიზლოთ!

ჯერ კი, ვიდრე ყველა ისევ ერთად ვართ, ამ წიგნის ადრესატები, ვიდრე ისევ ძლიერად ფეთქავს პოეტი ქალის გული, მინდა, აქედან შევძახო:

– ჩემო მზია, ბარაქალა შენს ადამიანობას! ამ დიდ სიყვარულს, სიკეთეს, რომელსაც ასე უშურველად გვჩუქნი!

მურად მთვარელიძე

პოე(ზ)ია



მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, წმ. გიორგის ოქროს ორდენის მფლობელს,

ქ-ნ მზია ხეთაგურს

,,ლიტერატურული ხაშური" ულოცავს დაბადების დღეს. გთავაზობთ ლექსებს პოეტის ახალი კრებულიდან

„უფლების უფლება".

მანამდე მოკვდი, ვიდრე მოგკლავენ

(საკუთარ თავს)

მანამდე მოკვდი, ვიდრე მოგკლავენ,
ვიდრე ყოდვაში გახვევ ყოდვიანს...
არ დაელოდო დღეებს მონყალეს,
ისწავლე ჩქარა, რაყ არ გყოდნია!
ისწავლე მარტო დარჩენით ტკბობა –
სხეული სულთან გზას რომ ასყდება...
ისწავლე შიში და მისი ნდობაყ,
უკან დახევით დროის გასწრებაყ!
მანამდე მოკვდი, ვიდრე სიზმრები
მადლიან ფერებს დაგამადლიან,
და ვიდრე მზეში გაყრილ ისრებით
დაგაღამებენ დილაადრიან...
მანამდე მოკვდი, ვიდრე მოკვდები,
ვიდრე სხვა ქუჩით დადის მკვლელობა,
თან წაიყოლე უყხო ბოდვებით
შენთვის ჩვეული დამრიგებლობა.
მანამდე მოკვდი, სანამ იმ კდემას,
შხამი არ წასყხო დროის გველობამ...
ვაი, რომ ნებით არავინ კვდება,
და მოკლულია ეგ თვითმკვლელობაყ!
... მანამდე მოკვდი, ვიდრე მოგკლავენ!

ფარდაახდილი სიტყვა

გინდ დამინყნეთ შიშველი –
ფარდაახდილი სიტყვა!
გინდ დამინყნეთ შვილებიყ,
თავზე მეტად რომ მიყვარს!
გინდ დამინყნეთ ქალები, –
რომ ვამხელ არამზადებს!
მინყნეთ, ხელისყოყებით,
ბრმები რომ გამყავს გზამდე!
მინყნეთ, ღვინო რომ მათრობს,
ტკივილებს რომ მიქარვებს!
მინყნეთ ისიყ, რაყ მამკობს,
რომ გაატანოთ ქარებს!
ლექსიყ მინყნეთ, ვითომდა
მყოდნემ თუ არამყოდნემ!
მინყნეთ, რაყ შემიყოდავს
და ისიყ, რაყ არ ვყოდე!
ნუ განსჯით, მხოლოდ, არჩევანს –
აყდენილს მრუდე ხნულებს, –
ბოღმის გულში არჩადებით,
ორგულს რომ ვუერთგულე!

მიკროსკოპი

(მურად მთვარელიძეს)

საქართველო განათდა!
საქართველო განათლდა!
ქვეყანამ მიკროსკოპში ჩაიჯყიტა
და ნათლად დაინახა ჩვენი:
უმეცრება, ზაკვა,
აზროვნების ჩარჩენა აკვნად,
და როგორყ სიბერეშეპარული ქალს,
სინათლეს თვალს რომ მოარიდებს და
კვლავ ნახევრად სიბნელეში
გადაინაყვლებს, –
ისე აღიზიანებს ეს სინათლე
ნაოჯებიან სულს!

სიბერე იცი რა არის?

სიბერე იყი რა არის? – ირგვლივ რომ მხოლოდ ქვებია,
იმ ქვებს არ გესვრის არავინ, რადგან სამიზნე – სხვებია!
სიბერე იყი რა არის? – ბრძოლას რომ აზრი არა აქვს,
და როყა შეკვრა კამარის სიზმრადაყ გაყლის არაქათს!
სიბერე იყი რა არის? – გალმა რომ გიჯობს გამოლმას,
როყა გრძელდება ზამთარი, როყა ნატვრის ხეყ გამოხმა!
სიბერე იყი რა არის? – თითქოს არ იყო, რაყ იყო.
როყა გზა იყი სამარის და მტვერიყ ლუკმას გაგიყოფს!
სიბერე იყი რა არის? – ქვიშადაყლილი საათი,
როყა არ ახსოვს არავის შენი ხმა და მისამართი!

საარჩევნო პროკლამაცია

როგორ მომბეზრდით ყველანი – ეგ თქვენი ყალბი ღელვანი!
ჩამომინგრიეთ კერანი ქვებით, თავში რომ ვიხლი...
მაგ თქვენი უშნო ღრენანით გულს დამაჩნიეთ კბენანი,
როგორყ ქალალდზე მელანი – იღვრება ჩემი სისხლი!
როგორ გიშველოთ კეთროვნებს, პირშავიანთა თეთრ მონებს,
ტყუილ–უბრალოდ ვეომე სიტყვების ნყება–ნყებას...
ათასჯერ გაგიმეორებთ, – ჩემში ნუ ხედავთ ვერ მომრევს,
ფიქრობთ, ,,დიდკაყთა" ქვემორე, ყველა მორჩილად ნვება?!
,,დიდკაყთა" ნამყეყ–კაყრობას ვერ შველის მარჯვედ ანყრობა,
ბოთლზე მორგება საყრობად, შამპანყურ–არაყ–ლუდის,
ენაზე კვერის დაყხობა, ოქროზე ოქროს დანყობა,
თავზე ნამუსის დამხობა, უნამუსობის ქუდით!
სადამდე თქვენი დაშვება? ყრემლისგან თვალი არ შრება,
პირფერთა ამ თავაშვებას, გული თქვენგან შორს მიჰყავს...
ეგ თქვენი შეპარპაშება, რა ურყხვად მეთამაშება,
ქრისტეყ ამაოდ დაშვრება, რადგან არავინ გიყვართ!
როგორ მომბეზრდით ყველანი – ეგ თქვენი ყალბი ღელვანი!
ჩამომინგრიეთ კერანი ქვებით, თავში რომ ვიხლი...
მაგ თქვენი უშნო ღრენანით გულს დამაჩნიეთ კბენანი,
როგორყ ქალალდზე მელანი – იღვრება ჩემი სისხლი!

არაფერი ინანოთ!

არაფერი ინანოთ – არყ ქარი და სეტყვა,
არაფერი ინანოთ – არყ უთქმელი სიტყვა,
არყ უბედო დღეებით პატიმრობის ნლები
და არყ ყრუ სიმღერებით შემოსევა მგლების!
არყ დაღვრილი სისხლი და არყ იმედი ფუჭი,
არყ გატეხვა ისრის და უძვირფასეს ჯურჯლის!
არყ სიყოყხლის ქებულის, გათელვა და ჩავლა –
პირში გამოვლებული, თაფლის ნაყვლად, ჩალა!
გარეთ არ გაიტანო, გულს რაყ განევს დარდად,
არაფერი ინანო, სიძულვილის გარდა!

ჩანახატი

14 მარტს, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ლიტერატურულმა სალონმა ,,ცხოვრება ლიტერატურაში" იამზე შავიძეს უმასპინძლა, რომელიც ,,პოეტური პროზითა" და ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური ჩანახატებით წარსდგა მსმენელის წინაშე.

,,იამზე შავიძის შემოქმედებას, გარკვეულწილად, ნიკო ლორთქიფანიძის ხელწერის გამოძახილი შეიძლება, ვუწოდოთ, თანამედროვე ქართულ მწერლობაში".

წერილი ძვირფას მურად მთვარელიძეს, ყველა მეგობარსა და სალონ-დარბაზს გრძელწამწამა მოლუსკისაგან!

ძვირფასებო!

უკვე მიცანით! – გრძელწამწამება თქვენი მოლუსკი!

ჰოდა, როგორმე, იქნებ შევიძლო, თბილი მადლობა გადაგიხადოთ!

მაგრამ როგორ დავიწყო? – ამბით? ანდაზით? იგავ-არაკით?

იქნებ ჯობია, რუსთაველის რომელიმე აფორიზმი გამოვიყენო?

ო, სიტყვას ისევ ვჩორკნი, ვაწვალებ!

იქნებ, როგორმე, მეც გამოვხატო მადლიერება იმ სითბოს მიმართ, თქვენ რომ უხვად გამომატანეთ და ისე გამათბეთ, დიდხანს, დიდხანს საგზლად გამყვება!

ბატონო მურად! ისევ ვიპოვე სიტყვა უბრალო,

განა ფრთიანი, ძალზედ უბრალო...

მადლობელი ვარ!

ხელი ჩამკიდეთ თითქოს უჩინარს, დიდი ხნის წინათ თქვენს ოთახში ლიტერატურის სენით მონათლულს!

კიდევ ერთხელ შემახსენეთ და შემძახეთ:

– მოლუსკო, ამ სენისგან არ განიკურნო!

მიყვარხართ, როგორც შეგირდს ოსტატი!

მინდა, უბრალო და დიდებული სიტყვა გითხრათ მადლიერების!

და ჩემს მეგობრებს, უძვირფასეს სალონ-დარბაზს – ღრმა მოკრძალება, ღრმა სიყვარული, პატივისცემა...

თქვენ ხომ ასე გამათამამეთ!

ევას მონოლოგი

მე აღარ მახსოვს ჩემი წარსული...

ჩემი სიცოცხლე უცნაურად სევდიანია, – სევდა მძიმეა, უსასრულო, გაუქარვები.

სად არის სევდის საიდუმლო, ანდა სევდისგან თავდავიწყება მაინც სად არის?

ჰოი, წარსული, – გაუქარვები სევდის მიზეზი.

გადაქანცული მხრებით მოვათრევ ცოდვას.

უფალო, თავდავიწყება ნეტავ, სად არის?

ჩემში არსებობს ევას ინსტიქტი და ჩამჩიჩინებს: ,,ჰპოვე ადამი, ჰპოვე ადამი, ჰპოვე ადამი!"

ვეძიებ, თუმცა, მე ისიც ვიცი, მილიონობით არსებულიდან მე ერთს ვეკუთვნი, კონკრეტული ერთი ფერდიდან ვარ ამოსული!

ვეძიებ... ვპოვე ადამი...

მაგრამ რა არის იგი? – თავდავიწყება?

ცნობისწადილი მტანჯავს, მაწვალებს.

რა უცნაური გვაქვს სიყვარული – თბილი, ტკბილი, მაგრამ მაინც სევდიანი, ამოუცნობი.

მე ხომ ევა ვარ, მისი წილი, მისი კუთვნილი. ის ადამია, ძალა, ნება და სურვილი დაუთრგუნველი.

თავდავიწყება? მაგრამ არა, არ მავიწყდება: სევდა ჭამს ევას უძირო გულს, სევდა უსიტყვო, გამოუთქმელი.

ადამი არის ცალი ჩემი, თბილი, ტკბილი, ეჭვიანი, ვერ გაუმხელ, რომ გაქვს სევდა მისგან ვერმორჩენილი, დროში უცვლელი.

ადამი არის ბილიკები ღვთისკენ სავალი, ადამში არის საიდუმლო ჩემი ქალობის...

ადამი არის ფერდი ბნელი, უცნაურად მსუყე და თბილი.

ვერ ვთავსდები, ვერ ვივიწყებ, სადღაც გულის სიღრმეში მაწვალებს სევდა განუკურნები...

თავდავიწყება არა, არ არის!

ადამი არის ბილიკები ღვთისკენ სავალი, ადამში არის საიდუმლო ჩემი ქალობის!..

და ვხვდები:

უნდა მიეცე ეჭვიან ადამს, რათა წარსტაცო მას შენი თავი...

ჰოი, რა საოცარი შექმენი წყვილი – ევა, ადამი, მაგრამ ცალ-ცალკე, მარტოსულებად შენკენ მავალნი, –

ერთმანეთის მხოლოდ ხიდები!

რას ავედრებდა ქალი უფალს...

ლოლო ლანელია

ხოხბის ყელისფრად ღაღანებდა მიდამო იმ დღეს... დღე იყო მშვიდი, ხეებს ერთმანეთის სუნთქვაც კი ესმოდათ, მკლავზე ესვენა დედამიწას მზის ათინათი... ზოგჯერ ნიავი მიუალერსებდა ხეთა კენწეროებს, თავს ფაქიზად გადაუწევდა, ყელზე ჟინმორეული ეამბორებოდა...შემდეგ, კვლავ მიყუჩდებოდა ბუნება.

გულანთებული ჭრიჭინობელა ჩუმად აწვალებდა ხმის სიმებს, გზისპირს შუადღის ჩრდილი გაწოლილიყო, ღრუბლის ქულათა თეთრი ფთილები ამშვენებდა ცის გუმბათს...

ხეთა ფოთლები ჩუმი შრიალით ეფერებოდნენ ერთურთს, მზის სხივები ჩვეული სიცელქით სხმარტალებდნენ ხეთა ფოთლებზე, თითქოს აფხიზლებდნენ, რათა შუადღის მწველ სიცხეს არ შეელანძა მათი სიხასხასე...

იქვე, მოღაღანე ველს ყაყაჩოების ცეცხლი ეკიდა... დროდადრო, მოფუსფუსე ფუტკარი თუ დაარღვევდა დღის მყუდროებას...

უცებ, ველზე ცის სადარი ქალი გამოჩნდა და ბუნების ეს ხელთუქმნელი სილამაზე უფრო სრულყოფილი შეიქმნა... თითქოს ძვირფასი სამკაული დააბნიესო გულისპირს...

ქალი ფრთხილად მიეახლა მოღაღანე ყაყაჩოებს...

– რა სილამაზეა, რა დიდებულია! – ჩურჩულებდა თავისთვის და აცრემლებულ თვალებზე, დროდადრო, ხელს იჩრდილავდა... და იყო, მართლაც, ენით აუწერელი სილამაზე, საოცარი ფერთა გამა ირეოდა ერთმანეთში...

– რა თეთრი ხელები გაქვს! – ეჩურჩულებოდა ნიავი.

– შენ ყოველ წუთს მოფერება გჭირდება, როგორც ამ თვალხატულა ყვავილებს. – ესალბუნებოდა მზის სხივი...

– სად იყავი აქამდის, მოდი ჩემთან, გულში ჩაგიკრა. – უხმობდა მოღაღანე ველი...

– მინდა, რომ ჩემთან ერთად გაათიო ღამე, აქ შეხვდე მზის ამობრწყინებას. მინდა, შენს გულზე ესვენოს ჩრდილი ჩემი ტოტების. – ეჩურჩულებოდა ამაყად მდგარი ცაცხვი...

დაბნეული ქალი აქეთ-იქით იყურებოდა.

– ნუთუ... თქვენ?! – სევდა ჩაუდგა თვალებში, ამოიოხრა, ვარდისფერ ღაწვებზე ცრემლი აუკიაფდა...

უცებ, ცაზე ღრუბელი წამოიშალა, ქარმა დაჰბერა არემარეს... წუთის წინ მოღაღანე ყაყაჩოს ველი წამოხვეტა, კაბა შემოაფლითა, ფოთლები ცაში აიტაცა, ხეები წელში გაზნიქა და მტვრის ვეებერთელა კორიანტელი ცაზე დაკიდა... ქარმა მოლივლივე ველს თავისი ნაფეხურები დააჩნია...

ქალს გული შეეკუმშა, გონს მოეგო, ფერშელანძულ, გადაბელილ ყვავილებს ხელი სათუთად გადაუსვა, დაიხარა და ეამბორა. მარგალიტივით წყვილი ცრემლი ისევ აუკიაფდა თვალის უპეებში და სევდიანად გახედა არემარეს...

– ამიერიდან, ხშირი სტუმარი ვიქნები თქვენი, ველარ შეგელევით, ვერ გავძლებ უთქვენოდ, ძალიან, ძალიან მომენატრებით! – თლილი თითები ლამაზ თმაზე ჩამოისვა, ქარისგან შელანძულ ველთან ჩაიმუხლა, ცის გუმბათს ახედა და უფალს რაღაც შესთხოვა. შემდეგ კი, კვლავ სადღაც გაუჩინარდა...

ნეტავ, რას... რას ავედრებდა ქალი უფალს?!

დებიუტი

ნუცა ჩიტაძე ხაშურის მე-2 საჯარო სკოლის მე-8 კლასის წარჩინებული მოსწავლეა. მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლად მოძრაობა შეზღუდული აქვს, იგი მრავალმხრივ ნიჭიერი გოგონაა: მხოლოდ ერთი თითის მოძრაობით წერს ლექსებს და ხატავს; ფლობს ინგლისურ ენას; არის სასკოლო პროგრამების კონკურსებში არაერთი სერტიფიკატის მფლობელი.

ნუცამ დაამტკიცა, რომ შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს!

მარტო არა ხარ

ქარი დაბერავს და, სარკმლის ახლოს,
აფრიალებს მოქარგულ ფარდას,
საათის ისარს შეამჩნევ ცხრასთან,
მთვარე კი, თურმე, ვარსკვლავებს
ქარგავს...
ამ მარტოობას თითქოს ტყვედ ჰყავხარ –
ჩაფიქრებული, ღვთისმშობლის ხატთან,
უნდა ილოცო, რომ გაძლიერდე,
მალე ღვთის ხელით სიკეთეს ნახავ.

წუთისოფელი

დრო მიდის, წინ მიისწრაფვის
და ჩვენც, ფეხდაფეხ, მივყვებით.
სად მიდის? საით მივყავართ? –
გვაწუხებს ჩუმი ფიქრები.
გავა ზამთარი, ზაფხული,
თმას შეერევა ჭაღარა,
ყლორტები დამჭკნარ ფოთლებსაც
ხომ ჩაანაცვლებს? – აბა რა!
ზოგი იცხოვრებს განცხრომით,
ზოგი კი – უფლის იმედად,
ვის, რა ეკუთვნის, – მიიღებს
სამარადისოდ, იმ ქვეყნად.
ამ ცხოვრების გზა მოკლეა,
ცხოვრების ჭაპანს ვეწევით,
დრო გადის... საათის ირგვლივ
ისრებს ხომ ვერ დავეწევით!

მონატრება

თითქოს ჯაჭვებმა შებოჭეს გული
და ოცნებებიც აღარ ახდება,
იღვრება ცრემლი დაგუბებული,
მოგონებებით სევდა ახლდება.
რა უცებ მოხდა ეს განშორება,
განმეორდება ისევ შეხვედრა?!
ათასი ფიქრი, გაურკვეველი,
მონატრებისას, სულზე გეხება.
მაგრამ, თუ გჯერა, რომ ყველაფერი
თავისით წყდება ზეცის უბეში, –
ჩნდება მზის სხივი სულის სიღრმეში,
სევდას ნელ-ნელა თრგუნავს ნუგეში.
თუ ერთგულ გრძნობას გულში ჩაიკრავ,
მისი იმედიც იქნება შვება,
და შენგან ძლიერ მონატრებულიც
შენზე ფიქრებით გიახლოვდება.

დედას

გაფუვდება მიწა ზამთრის შემდეგ,
ყველას გულში გაზაფხული დგება,
ყვავილები მოქარგავენ მდელოს, –
თაიგულებს ელოდება დედა!
აღმოცენდა სიყვარული მაშინ,
როცა შვილმა დაიძახა: „დედა!"
და, იმ დღიდან, ეს ფაქიზი გრძნობა
სამუდამოდ, დედის გულში რჩება.
ვერცერთ ყვავილს შევადარებ დედას,
მის მშობლიურ, უკვდავ სილამაზეს,
ღვთისმშობელმა დაიფაროს კალთა
და დაასწროს მრავალ დედების დღეს.

რეალობა

აირეკლავს სარკე დედამიწის ლანდებს,
არეკლილი ლანდი მუდამ უკან დაგდევს.
ბოროტს – ბილწი, კეთილს –
კეთილს წმინდა ჰბადებს.
ავირჩიოთ კეთილი და
გავყვეთ წმინდა ჰანგებს.
ხეც ხომ თავის დამჭკნარ ფოთლებს
მიწას უხვად აფენს,
ბოროტს უნდა გავერიდოთ,
ბოლოს პასუხს აგებს!
...და კეთილი გაიმარჯვებს,
ნუ დავარღვევთ ამ წესს...
სარკეც კეთილს აირეკლავს –
ჩვენგან შექმნილ ლანდებს.

გაზაფხული

ტანწერწეტა ხეზე როცა
ყვავილები იშლებიან,
და, როდესაც, ჩიტუნები
სამშობლოში ბრუნდებიან, –
ეს ის დროა, როცა მიწას
ეფინება მწვანე შალი,
თანაც, ლხენას ბუნებისას
ვერ დაუშლის ქარიშხალი.
გამოაღწევს ეს სამყარო
ზამთრის თეთრი ბუნაგიდან,
ნაკადულებს ჩავუყვებით
გაზაფხულის უბნებიდან.
ხანაც ჭექა, ხანაც ქარი,
სიო ნაზი, სიო წყნარი,
გაზაფხული მზის სხივებთან –
საამურად მოუბარი.

რედაქტორი ეკა ბაქრაძე